

## წინასიტყვაობა

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოში პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგებს.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარების აუცილებლობა განაპირობა ერთის მხრივ იმ ძირულმა ცვლილებებმა მიწათმელობელობის, მიწათსარგებლობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურაში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხოლო მეორეს მხრივ იმ ფაქტმა, რომ საქართველო შეუერთდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ რეკომენდებულ 1996-2005 წლების მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამას. აღწერა ჩატარა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჰქიდრო თანამშრომლობით. ფინანსური შეზღუდვების გამო აღწერა ორ ეტაპად ჩატარდა: 2004 წლის 25 სექტემბრიდან 4 ოქტომბრიდან სოფლებში და 2005 წლის 14 აპრილიდან 23 აპრილამდე რაიონულ ცენტრებსა და მცირე ქალაქებში. აღწერით არ იქნა მოცული საქართველოს 5 დიდი ქალაქი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი), აგრეთვე აფხაზეთისა (კოდორის ხეობის გარდა) და ცხინვალის რეგიონის არაკონტროლირებადი ტერიტორიები.

პუბლიკაცია შეიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ რაიონულ ჭრილში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია მრავალწლიანი ნარგავების სტრუქტურის შესახებ, რითაც გარკვეულწილად შეივსო საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზი. ნაბეჭდი ცხრილები ყველა სასოფლო მეურნეობას ეხება, ხოლო თანდართულ კომპაქტურ დისკებებით განთავსებულია ინფორმაცია ცალ-ცალკე რკაზური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესახებ.

წინამდებარე პუბლიკაციის ყველა მასალა შეიძლება მოძიებულ იქნეს ინტერნეტში სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: <http://www.statistics.ge>. გარდა ამისა, ინფორმაციის დაინტერესებულ მომხმარებელს შეუძლია მოგვმართოს სტატისტიკის

## Foreword

The present publication represents the results of the first National Agricultural Census of Georgia.

The necessity of conducting the agricultural census was due, on the one hand, to fundamental changes in the structure of land tenure, land use, agricultural producers and production that took place in Georgia since independence, and on the other hand to the fact that Georgia has joined the FAO Programme of World Census of Agriculture 1996-2005. The census has been conducted by Department of Statistics under Ministry of Economic Development of Georgia with close cooperation with Ministry of Agriculture. Due to financial restrictions the census was conducted in two stages: from 25 September to 4 October 2004 in the rural area and from 14 to 23 April 2005 in district centers and small towns. 5 large cities of Georgia (Tbilisi, Kutaisi, Batumi, Rustavi and Poti) were not covered by the census, as well as the uncontrolled territory of Abkhazia (except Kodori gorge) and Tskhinvali Region (Former South Ossetia).

The publication contains manifold information on various aspects of the Georgian agriculture at the district level. Information on the structure of permanent crops is especially important since it covers a gap that has existed in agricultural statistics of Georgia. The printed tables deal with all holdings, while the attached CD contains the additional information on family holdings and agricultural enterprises separately.

All the materials of the present publication may be found in the Internet on the website of Department of Statistics: <http://www.statistics.ge>. Besides, the interested users can address to Department of Statistics for any kind of available information within the framework of statistical confidentiality at the country, region, district and community levels. The census questionnaire attached in the Annex will give the reader an idea about the type of information that may be available.

დეპარტამენტის მისთვის საინტერესო  
ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად  
სტატისტიკური ინფორმაციის სტატისტიკური  
კონფიდენციალურობის ფარგლებში, როგორც  
მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული  
მხარეების, რაიონების და საკრებულოების  
დონეზეც. აღწერის კითხვარი, რომელიც  
პუბლიკაციას თან ერთვის, ინფორმაციის  
მომხმარებელს წარმოდგენას შეუქმნის იმის  
შესახებ, თუ რა ტიპის ინფორმაციის მიღებაა  
მისთვის შესაძლებელი.

დასასრულს მინდა ულრეჟის მადლობა  
გადავუხადო ევროკომისიას და გაეროს  
სურსათისა და სოფლის მეურნეობის  
ორგანიზაციას იმ უდიდესი ფინანსური და  
ტექნიკური დახმარებისათვის, რომლის გარეშეც  
სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება  
შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, მინდა  
დიდი მადლობა გადავუხადო სტატისტიკის  
დეპარტამენტის თანამშრომელთა იმ ჯგუფს,  
რომლის თავდადებული შრომის შედეგია  
სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება და  
წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა.

#### ზაზა ბროლაძე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების  
სამინისტროს  
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –  
სტატისტიკის დეპარტამენტის  
თავმჯდომარე

In conclusion I would like to express my sincere appreciation to FAO and EC for their substantial financial and technical assistance without which it would be impossible to conduct the census. Last but not least, special thanks to the staff members of Department of Statistics whose efforts made possible the conduction of Agricultural Census and appearance of this publication.

Zaza Broladze

Chairman

Department of Statistics under  
Ministry of Economic Development of  
Georgia.

## გამოყენებული ცნებებისა და ტერმინების ანბანური ჩამონათვალი

არასასოფლო-სამეურნეო მიწა – მეურნეობის მიწის ნაწილი, რომელიც უშუალოდ არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის (იხ. სასოფლო-სამეურნეო მიწა), მაგრამ გარკვეულ როლს თამაშობს მეურნეობის საქმიანობაში. შედგება შენობებითა და ეზოებით დაკავებული მიწისაგან, ტყეებისაგან, წყლით დაფარული მიწისაგან.

ბაღჩეული – საზამთრო, ნესვი, გოგრა.

ბოსტნეული – მწვანილი, ბაღრიჯანი, კომბოსტო, კიტრი, პომიდორი, ჭარხალა, სტაფილო, ხახვი ბოლქვად, ნიორი, ბოლოკი, წიწაკა, მწვანე ლობიო, მწვანე ბარდა, ყაბაყი.

დროებით დაუმუშავებელი მიწა – სახნავი მიწა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვერ იქნა დამუშავებული უსახსრობის, ამინდის არახელსაყრელი პირობების, სტიქური უბედურების ან სხვა ხელისშემძლელი მიზეზების გამო.

ერთი შინამეურნეობის მეურნეობა – ოჯახური მეურნეობა, რომელსაც უძლვება (რომლის მეურნეა) ერთი შინამეურნეობა.

ერთწლიანი კულტურა – სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის ზრდის სრული ციკლი ერთ წელზე ნაკლებ პერიოდს მოიცავს. აღწერის მიზნებისათვის ამავე კატეგორიას მიეკუთვნება მეურნის მიერ დათესილი მრავალწლიანი ბალაზებიც (იონვა, სამცურა, ესპარცეტი და სხვა).

ერთწლიანი კულტურის ნათესები – სახნავი მიწა, რომელზეც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო დაკავებული რაიმე ერთწლიანი კულტურით (მრავალწლიანი ბალაზების ჩათვლით).

ერთწლიანი კულტურის ნათესი ფართობი – ფართობი, რომელზეც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაითესა კონკრეტული ერთწლიანი კულტურა. თუ კულტურა ერთსა და იმავე ფართობზე 2-ჯერ ან მეტჯერ იქნა დათესილი, დაჯამბისას ეს ფართობი იმდენჯერვე უნდა იქნეს აღებული შესაკრებად. შეთესილი კულტურების შემთხვევაში შესაკრებად აიღება მთელი ფართობის ის ნაწილი, რომელიც (რესპონდენტის აზრით) მოცემულ კულტურას უკავია.

ვენახი – ვაზის კომპაქტური ნარგავებით დაკავებული ფართობი. აქ შედის როგორც ერთგვაროვანი (ვაზის ერთი ჯიშით დაკავებული), ისე შერეული (ვაზის რამდენიმე ჯიშით დაკავებული) ვენახები.

თანამეურნე – შინამეურნეობა (ან ფიზიკური პირი),

## Glossary of the Terms and Concepts

**Agricultural enterprise – a holding** operated by (whose **holder** is) a subject created on the basis of the Law of Georgia “On entrepreneurs” (**individual entrepreneur, partnership, semi-partnership, limited responsibility society, joint stock company, cooperative**).

**Agricultural holding – see Holding**

**Agricultural land – a part of the holding land** that is directly used for agricultural production. It consists of **arable land, land under permanent crops, land under protective cover, permanent pastures and permanent meadows**.

**Agricultural population – members of the households** engaged in agriculture (operating **family holdings**).

**Arable land – open air land which at the reference moment** was intended for cultivation under **temporary crops** irrespective to whether actually the land has been cultivated, left purposefully fallow for increasing its productivity or left uncultivated due to impeding circumstances.

**Area under a temporary crop – area on which the temporary crop has been sown during the reference period.** If the crop has been sown two or more times on the same area, the area is to be taken as a summand as many times as the crop has been sown. In case of **mixed cropping**, that part of the total area is to be taken as a summand which corresponds (according to respondent's opinion) to the given crop.

**Area under water for aquaculture – natural or artificial water reservoirs (lakes, ponds) used for growing water animals (fish, frogs etc.) or plants.**

**Area under yards and buildings – area under buildings** used for storage or keeping livestock or machinery, farmyards. Land under holder's house and yard is also included in this category if it is a part of the **holding land**. The latter is true if the house and yard are located on a parcel where a certain agricultural production takes place. If holder's house is located in a

რომელიც სხვა შინამეურნეობებთან (სხვა შინამეურნეობების წევრებთან) ერთად უძღვას თანამეურნეობას.

**თანამეურნეობა** – ოჯახური მეურნეობა, რომელსაც უძღვება (რომლის მეურნეა) რამდენიმე შინამეურნეობა ან რამდენიმე ფიზიკური პირი სხვადასხვა შინამეურნეობებიდან ყოველგვარი ფორმალურ-იურიდიული რეგისტრაციის გარეშე.

**ინდივიდუალური მეწარმე** – ფიზიკური პირი, დარეგისტრირებული როგორც მეწარმე “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად.

**იჯარით აღებული მიწა** – მიწა, რომელიც მეურნის მიერ აღებულია იჯარით სხვა (ფიზიკური ან იურიდიული) პირისაგან ან სახელმწიფო დაწესებულებისაგან ფიქსირებული თანხის (ფულით ან ნატურით), მოსავლის ფიქსირებული ნაწილის (ფულით ან ნატურით) ან რაიმე მომსახურების სანაცვლოდ. მიწა ითვლება იჯარით აღებულად სახელმწიფოსაგან, თუ იგი იჯარითა აღებული სახელმწიფო მმართველობის (როგორც წესი, ადგილობრივი) ორგანოსაგან, სახელმწიფო დაწესებულებისაგან, ან ისეთი შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოებისაგან, რომელიც სახელმწიფოს წილი ნახევარზე მეტია. სხვა შემთხვევებში მიწა ითვლება იჯარით აღებულად კერძო პირისაგან. სახელმწიფოსაგან კერძო პირის მიერ იჯარით აღებული და ქვეივარით გაცემული მიწა ითვლება იჯარით აღებულად კერძო პირისაგან.

**კენკროვები** – მარწყვი, ხენდრო, უოლო, მოცხარი, ხურტებმელი და სხვა.

**კომანდიტური საზოგადოება** – რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად წილობრივ საწყისებზე შექმნილი საზოგადოება, რომლის პარტნიორთა ნაწილი (კომპლექტარები) მოელი თავისი ქონებითა საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელი, ხოლო მეორე ნაწილი (კომანდიტები) – მხოლოდ თავისი წილით.

**კომპატური ნარგავები** – მრავალწლიანი კულტურების ერთობლიობა, რომელიც, ცლკე მდგომი ძირებისაგან განსხვავდით, საკმაოდ მჭიდროდ და რეგულარულადა დარგული და რომელთათვისაც შეიძლება გარკვეული ფართობის მინიჭება.

**კოოპერატივი** – “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი საზოგადოება, რომელიც წევრები (ფიზიკური ან იურიდიული პირები) ერთიანდებიან გარკვეული საქმიანობის ერთობლივად წარმართვის მიზნით.

many-storied building or is surrounded only by a yard covered by, say, asphalt, than such house and yard are not part of the **holding land**.

**Berries** – strawberry, raspberry, currant, gooseberry etc.

**Citrus plantation** – area under **compact plantation** of lemon, orange, tangerine or grapefruit. This category includes both homogeneous (consisting of a single citrus type) and mixed (consisting of several citrus types) plantations.

**Comandite society** – see **Semi-partnership**.

**Compact plantation** – a set of **permanent crops** planted, unlike scattered trees, regularly and sufficiently densely to which a certain area may be attributed.

**Cooperative** – a society created on the basis of the Law of Georgia “On entrepreneurs”, where the partners (natural or legal persons) unite themselves for carrying out jointly some activity.

**Fallow land – arable land** that has not been cultivated (or has been ploughed and not sown) purposefully during the **reference period** with the aim of increasing its productivity.

**Family holding** – a **holding** operated by (whose **holder** is) one or several households.

**Fodder crops** – annual or perennial grasses, fodder roots sown specially for feeding livestock. Maize is also included in this category if it is produced only for obtaining not grains but green fodder.

**Holder** – a natural person, group of natural persons, a legal person or other subject which takes basic decisions on use of resources of the **holding**, operates the **holding** directly or controls its operation by a specially assigned person (a family member, a hired manager) and has financial and economic rights and responsibility for the **holding**. There are the following types of holder: one household, several households, a subject created on the basis of the Law of Georgia “On entrepreneurs” (**individual entrepreneur, partnership, semi-partnership, limited responsibility society, joint stock company, cooperative**), other subject (association,

**მეურნე** – ფიზიკური პირი, ფიზიკურ პირთა ერთობლიობა, იურიდიული პირი, ან სხვა სუბიექტი, რომელიც იღებს ძირითად გადაწყვეტილებებს მეურნეობის რესურსების გამოყენების შესახებ, უშუალოდ უძლვება მეურნეობას ან აკონტროლებს მეურნეობის გაძლოლას ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი პირის (ოჯახის წევრი, დაქირავებული მეწევერი) მიერ და მეურნეობის მიმართ აქვს ფინანსური და ეკონომიკური უფლებამოსილება და ასუხისმგებლობა. მეურნის ტიპებია: ერთი შინამეურნეობა, რამდენიმე შინამეურნეობა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი მეწარმე სუბიექტი (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქვით საზოგადოება, კოოპერატივი), სხვა სუბიექტი (ასოციაცია, კავშირი, სახელმწიფო დაწესებულება, საგანმანათლებლო დაწესებულება, ეკლესია, მონასტერი და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ მეურნე შინამეურნეობაა, მეურნის ქვეშ აგრეთვე იგულისხმება შინამეურნეობის ის წევრი, რომელიც უშუალოდაა პასუხისმგებელი მეურნეობის გაძლილაზე.

**მეურნეობა (სასოფლო მეურნეობა)** – სასოფლო-სამეურნეო აღწერის ობიექტი. ეს არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, მოუხედავად მისი ზომისა ან იურიდიული სტატუსისა. საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის თანახმად ის ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც ეწევან **მხოლოდ** სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას, მეთევზეობას, მეტყველებას ან ნადირობას არ განიხილებან, როგორც სასოფლო მეურნეობები და აღწერას არ ექვემდებარებიან. ერთიანი ხელმძღვანელობა ხორციელდება სასოფლო მეურნეობის მეურნის მიერ. მეურნეობის ტიპებია: ოჯახური მეურნეობა, თანამეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო, სხვა ტიპის მეურნეობა.

**მეურნეობის მისამართი** – მისამართი, რომელზედაც მეურნეობის მიწა მდებარეობს ან, თუ მეურნეობას მიწა არ გააჩნია, რომელზედაც მდებარეობს მეურნის საცხოვრისი ან ოფისი. თუ მეურნეობის მიწა რამდენიმე ნაკვეთისაგან შედგება, მაშინ მეურნეობის მისამართად მიიჩნევა იმ ნაკვეთის მისამართი, რომელზეც მდებარეობს მეურნის საცხოვრისი ან ოფისი, თუ ეს ნაკვეთი მეურნეობის მიწის ნაწილს წარმოადგენს. ასეთი ნაკვეთის არარსებობის შემთხვევაში მეურნეობის მისამართად მიიჩნევა იმ ნაკვეთის მისამართი, რომელზეც მდებარეობს მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ხოლო თუ ასეთიც არ არსებობს – რომელზედაც თაგმოყრილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ყველა ზემოაღნიშული ტიპის ნაკვეთის არარსებობის შემთხვევაში მეურნეობის მისამართად

government agency, educational institution, church, monastery etc.). In case the holder is a household, under holder it is also understood the household member directly responsible for operating the holding.

**Holding (Agricultural holding)** – the object of the agricultural census. This is an economic unit engaged in agricultural production under single management without regard to its size and legal status. According to the internationally recognized methodology, the economic units engaged **only** in agricultural services, forestry, fishery or hunting are not considered as holdings and are not objects of the agricultural census. Single management is exercised by the **holder** of the agricultural holding. There are the following types of holding: **family holding, agricultural enterprise, other type holding**.

**Holding address** – the address where the **holding land** is located, or, if the holding is without land, the address of holder's house or office. If the **holding land** consists of several **parcels**, the holding address is determined by the address of the parcel where holder's house or office is located. If there is no such parcel, then the holding address is determined by the address of the parcel where holding's agricultural structures are located. If there is no such parcel as well, the holding address is determined by the address of the parcel where agricultural machinery of the holding is located. If there is no parcel of the holding satisfying at least one of the above criteria, the holding address will be determined as the address of the parcel with the greatest area.

**Holding land (Land operated by the holding)** – land used directly or indirectly in holding's productive activities. It consists of the **owned land** and **rented land**, except that part of them (if such exists) which is rented out. The holding land consists of the **agricultural** and **non-agricultural land**. It is quite possible for a holding to have no land at all (see **Holding without land**).

**Holding without land** – a holding for which land (owned or rented) is not a necessary input for agricultural production. For instance, a hatchery, a holding keeping livestock (say, bees) on a public land, a household living in a many-storied building and having a cattle shed in a common yard, etc.

მიიჩნევა ყველაზე დიდი ფართობის მქონე ნაკვეთის მისამართი.

მეურნეობის მიწა (მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწა) – მიწა, რომელიც უშეალოდ ან არაპირდაპირ გამოიყენება მეურნეობის საქმიანობაში. შედგება მეურნის საკუთრებაში არსებული მიწისა და მეურნის მიერ იჯარით აღებული მიწისაგან, გარდა მათი იმ ნაწილისა (თუ ასეთი არსებობს), რომელიც სხვა პირზეა იჯარით გაცემული. შედგება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწისაგან. არ არის გამორიცხული, მეურნეობას მიწა არ გააჩნდეს (იხ. უმიწო მეურნეობა).

მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწა – იხ. მეურნეობის მიწა.

მეურნეობის ხელმძღვანელი – ფიზიკური პირი, რომელიც უშეალოდ არის პასუხისმგებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ან სხვა ტიპის მეურნეობის გაძლიერებაზე.

მრავალწლიანი კულტურა – სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ საჭიროებს ხელახლა დარგებს ან დათესვას მოსავლის მისაღებად. აյ შედის ხეხილი, კენკროვნები, ვაზი, ციტრუსები, ჩაი, სხვა მრავალწლიანი კულტურები. არ შედის მრავალწლიანი ბალაზები.

მრავალწლიანი ნარგავები – მიწა, რომელიც აღწერის საანგარიშო მომენტისათვის დაკავებული იყო მრავალწლიანი კულტურების კომპაქტური ნარგავებით (ხეხილის ბაღებით, ვენახებით, კენკროვნებით, ჩაის ან ციტრუსის პლანტაციებით ან სხვა მრავალწლიანი ნარგავებით). ამავე კატეგორიაში შედის მრავალწლიანი კულტურების სანერგებებიც.

ნაკვეთი – მეურნეობის მიწის იზოლირებული ნაწილი, მთლიანად გარშემორტყმული ისეთი ტერიტორიით (სხვა მეურნეობის მიწით, სახელმწიფო მიწით, წყლით, გზით, ტყით და ა.შ.), რომელიც მოცემული მეურნეობის მიწის ნაწილს არ წარმოადგენს.

ნაკვენი მიწა – სახნავი მიწა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სპეციალურად არ იყო დამუშავებული (ან მოიხნა, მაგრამ არ დათესილა) მისი პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით.

ოკაზური მეურნეობა – მეურნეობა, რომელსაც უძლვება (რომლის მეურნე) ერთი ან რამდენიმე შინამეურნეობა.

პირუტყვის რაოდენობა – რაოდენობა, რომელიც საანგარიშო მომენტისათვის იმყოფებოდა მეურნეობაში (როგორც გამოზრდილი, ისე შეძენილი ან იჯარით აღებული).

**Household** – a person or a group of persons which live together, jointly consume food or other essentials for living and pool their incomes and property to a greater or lesser extent. Household members are not necessarily relatives of each other.

**Individual entrepreneur** – a natural person registered as an entrepreneur on the basis the Law of Georgia “On entrepreneurs”.

**Joint holder** – a **household** (or a natural person) that operates a **joint holding** together with other **household(s)** (member(s) of other **household(s)**).

**Joint holding** – a **family holding** operated by (whose **holder** are) several **households** or several natural persons from different **households** without any formal juridical registration.

**Joint responsibility society** – see **Partnership**

**Joint stock company** – a society created on the basis the Law of Georgia “On entrepreneurs” where the share of the partners is determined by the owned stock and they are responsible for society’s liabilities only by society’s property.

**Land operated by the holding** – see **Holding land**.

**Land under permanent crops** – land that at the reference moment was occupied by **compact plantations of permanent crops (orchards, vineyards, berries, citrus or tea plantations or other permanent crops)**. The nurseries of permanent crops are also included in this category.

**Land under protective cover** – land located under permanent constructions roofed by glass or plastic.

**Land under temporary crops – arable land** that has been under a **temporary crop** at least once during the **reference period**.

**Limited responsibility society** – a society created by two or more persons on the basis the Law of Georgia “On entrepreneurs”, where the partners are responsible for society’s liabilities only by society’s property.

**Livestock number** – the number of livestock (grown, purchased or rented) present at the

**საანგარიშო მომენტი** – აღწერის პირველი ეტაპისათვის (სოფლად, 2004 წლის 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე) გამოკითხვის დღე, ხოლო მეორე ეტაპისათვის (რაიონულ ცენტრებში და მცირე ქალაქებში) – 2004 წლის 1 ოქტომბერი.

**საანგარიშო პერიოდი** – 2003 წლის 25 სექტემბრიდან 2004 წლის 24 სექტემბრამდე.

**საქაიო საზოგადოება** – “შეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი საზოგადოება, რომელშიც პარტნიორთა წილი მათ მიერ აქციების ფლობით გამოიხატება და რიმლის ვალდებულებების გამო მეწილეები პასუხს აგებენ მხოლოდ საზოგადოების ქონებით.

**სათბური** – მიწის ფართობი, რომელიც მოთავსებულია მინით ან პლასტიკური მასალებით გადახურული მუძმივი კონსტრუქციის ქვეშ.

**სათბი** – მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალანსი გამოიყენება თივის დასამზადებლად. თუ ბალანსი დათესილია მეურნის მიერ, ასეთი მიწა ითვლება **საკვები კულტურებით დაკავებულ მიწად**.

**საკვები კულტურები** – ერთწლიანი ან მრავალწლიანი ბალახები, საკვები ძირვები, რომლებიც დაიხსილია სპეციალურად პირუტყვის საკვებად. აქვე შედის სიმნივიც, თუ იგი იწარმოება მხოლოდ პირუტყვის საკვები მწვანე მასის და არა მარცვლის მისაღებად.

**საკუთრებაში არსებული მიწა** – საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობით მეურნეზე დარეგისტრირებული მიწა, ან მიწა საკუთრებაზე ფორმალური უფლების გარეშე, თუ ამ მიწით მეურნე ფაქტიურად სარგებლობს, როგორც საკუთარით.

**სამარცვლე სიმინდი** – სიმინდი, რომელიც იწარმოება მარცვლის მისაღებად (მოუხედავად იმისა, შედეგ ეს მარცვალი ადგინის თუ პირუტყვის საკვებად გამოიყენება). თუ სიმინდი იწარმოება მხოლოდ პირუტყვის საკვები მწვანე მასის მისაღებად, ასეთი სიმინდი განიხილება, როგორც საკვები კულტურა.

**სასოფლო მეურნეობა** – იხ. მეურნეობა.

**სასოფლო-სამეურნეო საწარმო** – მეურნეობა, რომელსაც უძღვება (რომლის მეურნეა) “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი მეწარმე სუბიექტი (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომინიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კონკრეტულივა).

**holding at the reference moment.**

**Main activity** – activity that is main income source of a person operating the holding

**Maize for grain** – maize produced for obtaining grain (even if afterwards the grain is used for feeding animals). If maize is produced for obtaining only green fodder, it is considered as a **fodder crop**.

**Melons (Melons and gourds)** – watermelon, melon, pumpkin.

**Melons and gourds** – see Melons.

**Mixed cropping** – a method of sowing **temporary crops** when several crops are jointly sown on the same plot so that no area may be attributed to any single crop.

**Non-agricultural land** – a part of the **holding land** that is not directly used for agricultural production (see **Agricultural land**) but still plays a role in operation of the **holding**. It consists of **area under yards and buildings, woodland, area under water**.

**One-household holding** – a **family holding** operated by (whose **holder** is) one **household**.

**Orchard** – area under **compact plantation** of pome fruit (apple, pear, quince), stone fruit (plums, cherries, cornel, peach, apricots), nuts (walnut, hazelnut), subtropical fruit (persimmon, fig, kiwi, pomegranate, feijoa), mulberry. This category includes both homogeneous (consisting of a single fruit type) and mixed (consisting of several fruit types) orchards.

**Other area under water** – natural or artificial water reservoirs (lakes, ponds) making part of the **holding land** and not used for growing water animals or plants. They may be, however, used for fishing.

**Other permanent crops** – bay, tung, eucalyptus, bamboo and the like.

**Other type holding** – a **holding** operated by (whose **holder** is) a subject other than a household or a subject created on the basis of the Law of Georgia “On entrepreneurs” (association, government agency, educational institution, church, monastery etc.).

**სასოფლო-სამეურნეო** მიწა – **მეურნეობის მიწის** ნაწილი, რომელიც უშუალოდ გამოიყენება **სასოფლო-სამეურნეო** წარმოებისათვის. შეღვება **სახნავი** მიწისაგან, მრავალწლიანი **ნარგავებისაგან**, **სათბურებისაგან**, **სათბებისა** და **საძოვრებისაგან**.

**სასოფლო-სამეურნეო** მოსახლეობა – **სასოფლო-სამეურნეო** წარმოებაში ჩართული (რეაზური მეურნეობის მეურნე) **შინამეურნეობების** წევრებისაგან შემდგარი მოსახლეობა.

**საძოვარი** – მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალანი გამოიყენება პირუტყვის საძოვებლად. ოუ ბალანი დათესილია მეურნის მიერ, ასეთი მიწა ითვლება **საკვები კულტურებით** დაკავებულ მიწად.

**სახლმწიფო მეურნეობა** – მეურნეობა, რომელსაც უძლვება (რომლის მეურნეა) **სახლმწიფო** დაწესებულება ან ისეთი **შეზღუდული პასუხისმგებლობის** ან **სააქციო საზოგადოება**, რომელშიც სახლმწიფოს წილი ნახევარზე მეტია.

**სახნავი** – ღია გრუნტის მიწა, რომელიც **სანგარიშო** მომენტისათვის განკუთვნილი იყო **კულტურების** (მრავალწლიანი ბალანების ჩათვლით) მოსაყანად, იმისდა მიუხდავად **სანგარიშო** პერიოდის განმავლობაში იგი დათესილ იქნა, სპეციალურად იქნა დასვენებული პრილუქტიულობის ამაღლების მიზნით, ოუ ვერ იქნა დამუშავებული ხელისშემშლელი პირობების გამო.

**სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება** – ორი ან მეტი ფიზიკური პირის მიერ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად წილითმოვა საწყისებზე შექმნილი საზოგადოება, რომლის ვალდებულებების გამო მეწილეები პასუხს ავგბენ მოელი თავიანთი ქონებით. **სოლიდარული პასუხისმგებლობის** საზოგადოების პარტნიორები თანამეურნებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი იურიდიულ პირად არიან ოფიციალურად დარეგისტრირებული.

**სხვა ტიპის მეურნეობა** – მეურნეობა, რომელსაც უძლვება (რომლის მეურნეა) არამეწარმე სუბიექტი (ასოციაცია, კაგშირი, სახლმწიფო დაწესებულება, საგანმნათლებლო დაწესებულება, ეკლესია, მონასტერი და ა.შ.).

**სხვა მრავალწლიანი ნარგავები** – დაფნა, ტუნგო, ეპალიატი, ბაბუკი, ჯონჯოლი და სხვა.

**სხვა წყალსატევები** – ხელოვნური ან ბუნებრივი წყალსატევები (ტბები, გუბურები), რომლებიც წარმოადგენს მეურნეობის მიწის ნაწილს და არ გამოიყენება წყლის ცხოველების ან წყალმცნარეების მოსამებლად, თუმცა შეიძლება სათუეჭაოდ გამოიყენებოდეს.

**Owned land** –land legally registered at the name of the **holder**, as well as the land which is actually used by the holder as if owned even without any legal title

**Parcel** – an isolated part of the **holding land** completely surrounded by such territory (land of other holding, state land, water, road, wood etc.) which is not a part of the given holding.

**Partnership (Joint responsibility society)** in the census questionnaire)– a society created by two or more natural persons on the basis the Law of Georgia “On entrepreneurs”, where the partners are responsible for society’s liabilities by all their property. The partners of a partnership differ from **joint holders** only by the fact that they are officially registered as a legal person.

**Permanent crop** – a crop that does not need replanting for several years for obtaining a harvest. This category includes fruit trees, vines, citrus trees, berries, tea, **other permanent crops**. It does not include perennial grasses.

**Permanent meadow** – land where naturally grown grass is used for haying. If the grass has been sown by the **holder**, such a land is considered as land under **fodder crops**.

**Permanent pasture** – land where naturally grown grass is used for grazing. If the grass has been sown by the **holder**, such a land is considered as land under **fodder crops**.

**Person operating a holding** – a natural person (a household member or the top manager of an enterprise) which is directly responsible for operating the holding.

**Producing mainly for sale** – when more than half (in value terms) of the agricultural production of the **holding** produced during the reference period has been sold in raw or processed form.

**Producing mainly for self-consumption** – when more than half (in value terms) of the agricultural production of the **holding** produced during the reference period has been used by the holding itself for final consumption in raw or processed form.

**Public holding** – a **holding** operated by (whose **holder** is) either a government agency

**ტევები** – ბუნებრივი ან ხელოვნურად გაშენებული წის ნარგავების მასივები, რომლებსაც აქვს რეალური ან პოტენციური ღირებულება მერქის, შეშის წარმოების მხრივ ან აქს ქარსაცავი მნიშვნელობა. ამ კატეგორიაში შედის სატყო სანერგებიც.

**უმიწო მეურნეობა** – მეურნეობა, რომლისთვისაც მიწა (საკუთარი ან ივარით აღებული) არ წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ფაქტორს. მაგალითად, საინკუსტორო მეურნეობა, მეურნეობა, რომელიც ეწევა მეცხველობას (მაგალითად მეფუტერობას) საზოგადო სარგებლობის მიწებზე, მრავალსართულიან სახლში მცხოვრები შინამეურნეობა, რომელსაც ბოსელი აქს საერთო ეზოში და ა.შ.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)** – ერთი ან რამდენიმე პირის მიერ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად წილით მიწის საწყისებზე შექმნილი საზოგადოება, რომლის ვალდებულებების გამო მეწილეები პასუხს აგებენ მხოლოდ საზოგადოების ქონებით.

**შეფესილი კულტურები** – ერთწლიანი კულტურების დათესვის მეთოდი, როდესაც მიწის ერთსა და იმავე ნაჭერზე რამდენიმე ერთწლიანი კულტურა ითესება ისე, რომ შეეძლებელია მხოლოდ ერთი კულტურით დათესილი ფართობის გამოყოფა.

**შენობა-ნაგებობებით და ეზოებით დაკავებული მიწა** – ისეთი შენობა-ნაგებობებით (ბოსელი, ნალია და ა.შ) დაკავებული ფართობები, რომლებიც გამოიყენება პირუტყვის, მოწყობილობების და პროდუქტების შესანახად, სასოფლო-სამეურნეო ეზოები. აქვთ შედის მეურნის სახლით და კარმიდამოთი დაკავებული ტერიტორია, თუ იგი მეურნეობის მიწის ნაწილს წარმოადგენს. ამ უკანასკნელ გარემოებას მაშინ აქვს ადგილი, თუ სახლი და კარმიდამი მდგრადიებს ისეთ ნაკვეთზე, რომელზეც გარკვეული სასოფლო-სამეურნეო წარმოება მიმდინარეობს. თუ მეურნის სახლი მდებარეობს მრავალსართულიან შენობაში ან გარშემორტყმულია მხოლოდ, მაგალითად, ასფალტით დაფარული ეზოთი, ასეთი სახლი და კარმიდამი მეურნეობის მიწის ნაწილს არ წარმოადგენს.

**შინამეურნეობა** – ერთი ან რამდენიმე პირის ერთობლიობა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად მოიხმარენ საკვებს ან სხვა პირებულადი მოხმარების საქონელს და მთლიანად ან ნაწილობრივ აერთიანებენ თავიათ შემთხვევას და ქონებას. არ არის სავალდებულო, რომ შინამეურნეობის წევრები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ.

**ცალკე მდგომი ძირი** – ხეხილის, ვაზის ან ციტრუსის ძირი განისაღება როგორც ცალკე მდგომი, თუ იგი დგას მიწის იმ ფართობზე,

or a **limited responsibility society** or a **joint stock company** where more than half of the shares are owned by state.

**Reference moment** – at the first stage of the census (in rural area, from 27 September to 4 October 2004) the enumeration day, while at the second stage (in district centers and small towns) 1 October 2004.

**Reference period** – From 25 September 2003 to 24 September 2004.

**Rented land** – land rented by the **holder** from another (natural or legal) person or government agency for a fixed amount (in cash or in kind), for a fixed percentage of the harvest (in cash or in kind) or for a service. The rented land is considered as rented from state if it is rented from a government (as a rule, local) agency or a such a **limited responsibility society** or **joint stock company** where state owns more than half of shares. In all other cases the rented land is considered as rented from a private person.

**Scattered tree (vine)** – a fruit tree, a vine or a citrus tree is considered as scattered if it grows on an area not classified in Table 7 of the census questionnaire (see Annex) respectively as “**Orchards**” (column 15), “**Vineyards**” (column 17) or “**Citrus plantations**” (column 20).

**Semi-partnership (Comandite society in the census questionnaire)** – a society created by several natural or legal persons on the basis the Law of Georgia “On entrepreneurs”, where part of the partners are responsible for society’s liabilities by all their property while another part only by their share.

**Temporary crop** – a crop whose complete growing cycle is less than one year. Perennial grasses (alfalfa, trefoil, sainfoin) sown by the **holder** also belong to this category

**Temporarily uncultivated land – arable land** that has not been cultivated during the **reference period** due to lack of resources, unfavorable weather conditions, natural disaster or other impeding circumstances.

**Vegetables** – eggplant, cabbage, cucumber, tomato, beet, carrot, onion, garlic, radish, pepper (paprika), green beans, greens, marrow.

**Vineyards** – area under **compact plantation** of vines. This category includes both homogeneous (consisting of a single vine

რომელიც აღწერის კითხვარის (იხ. დანართი) მე-7 ცხრილში მოყვანილ კლასიფიკაციაში არ მოხვდა შესაბამისად ხეხილის ბაღების (მე-15 სტრიქონი), ვენახების (მე-17 სტრიქონი) ან ციტრუსის პლანტაციების (მე-20 სტრიქონი) გატეგორიაში.

**ციტრუსის პლანტაცია** – ლიმონის, ფირთოხლის, მანძარინის და გრეიიფრუტის კომპაქტური ნარგავებით დაკავებული ფართობი. აქ შედის როგორც ერთგვაროვანი (ერთი სახეობის ციტრუსით დაკავებული), ისე შერეული (სხვადასხვა სახეობის ციტრუსით დაკავებული) პლანტაციები.

**ძირითადი საქმიანობა** – საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს მეურნის ან მეურნეობის ხელმძღვანელის შემოსავლის ძირითად წყაროს.

**წარმოება ძირითადად რეალიზაციისათვის** – როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში ნაწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტი (ლირებულებით გამოსახულებაში) გაიყიდა ნედლი ან გადამუშავებული სახით.

**წარმოება ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის** – როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში ნაწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტი (ლირებულებით გამოსახულებაში) ნედლი ან გადამუშავებული სახით გამოყენებულ იქნა თვით მეურნეობის მიერ საბოლოო მოხმარებისათვის.

**წყალსატევები აკვაკულტურისათვის** – ხელოვნური ან ბუნებრივი წყალსატევები (ტბები, გუბურები), რომლებიც გამოიყენება წყლის ცხოველების (თვეზი, ბაყაფი და ა.შ.) ან წყალმცენარეების მისაშენებლად.

**ხეხილის ბაღები** – თესლოვანი (ვაშლი, მსხალი, კომში), კურკოვანი (ქლიავი, ჭანჭური, ღოღნაშო, ტყემალი, ალუჩა, ბალი, ალუბალი, შინდი, ატამი, გარგარი, ჭერამი), კაქლოვანი (კაკალი, თხილი), სუბტროპიკული (ზურმა, კარალიოკი, ლელვი, კივი, ბროწეული, ფეხორა) ხილის, აგრეთვე თუთის კომპაქტური ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი. აქ შედის როგორც ერთგვაროვანი (ერთი სახეობის ხეხილით დაკავებული), ისე შერეული (სხვადასხვა სახეობის ხეხილით დაკავებული) ბაღები.

species) and mixed (consisting of several vine species) vineyards.

**Woodland** – compact plantations (both natural and artificial) of forest trees that have actual or potential value for production of timber or firewood or for wind protection. Forest tree nurseries are also included in this category.

**2004 წლის პირველი ეროვნული  
სასოფლო-სამეურნეო აღწერა  
საქართველოში**

**სასოფლო-სამეურნეო აღწერის  
წინაპირობები**

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მობოლების შემდეგ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ეს ძვრები შეეხო:

ა) **მიწათმფლობელობის სტრუქტურა:** ოუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფილია მოსახლეობის პირად სარგებლობაში (და არა კერძო საკუთრებაში) მყოფი მიწა მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენდა, 2003 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო საკარგულების (სათობ-საძოვრების ჩათვლით) 25 პროცენტი კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო 30 პროცენტი – სახელმწიფოს მიერ კერძო პირებზე იჯარით გაცემული;

ბ) **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა სტრუქტურა:** ოუ დამოუკიდებლობის მობოლებადე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტესი წილი შედარებით მცირე რაოდენობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა, რეფორმების შემდეგ მწარმოებელთა ეს კატეგორია სერთოდ გაქრა და წარმობის ძირითადმა მასამ (90 პროცენტზე მეტმა) ოჯახური (უპირატესად წვრილი) მეურნეობებისაკენ გადაინაცვლა;

გ) **წარმოების სტრუქტურა:** ტრადიციული ბაზრების დაკარგვის გამო ხილის წარმოება 2-ჯერ შემცირდა, ყურძნის – 3-ჯერ, ციტრუსების – 8-ჯერ, ჩაის – 20-ჯერ. შესაბამისად შეიცვლა მიწათმარებლობის სტრუქტურაც – მასობრივი ხასიათი მიიღო მრავალწლიანი ნარგავების გაჩეხვამ ერთწლიანი კულტურების სასარგებლოდ, ავრცელების გადაინაცვლა.

შედეგად შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ქვეყნაში არ არსებობდა სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა სარწმუნო ბაზა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შესახებ საორიენტირო მონაცემები, რომელიც გახდებოდა საფუძველი სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის შექმავებისა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის. მიღინარე შერჩევითი სასოფლო-სამეურნეო კვლევების საშუალებით ასეთი მონაცემების მიღება შეუძლებელია, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბიექტთა სარწმუნო და თანადროული რეესტრის არარსებობა სათუოს ხდის თვით შერჩევითი კალევების შედევების საიმედოობას.

გარდა ამისა, საქართველო შეუერთდა FAO-ს (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) მიერ რეკომენდებულ 1996-2005 წლების მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამას. უფრო მეტიც, საქართველოსათვის,

**First National Agricultural Census  
2004 in Georgia**

**Background**

Since independence of Georgia, fundamental changes have taken place in the agriculture of the country. These changes have affected:

a) **The land tenure structure:** whereas in the soviet times only 7 percent of the agricultural land was in private use (not ownership) of the population, in 2003 25 percent of agricultural land (including permanent pastures and meadows) was in private ownership while another 30 percent was rented by state to private persons.

